მასწავლებლის სახელმძღვანელო

თემა: გავაცოცხლოთ ქართული ანიმაციები და ზღაპრები

კლასი - III

საგანი: ქართული ენა ; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

პროექტის მიზნები: აღნიშნული პრობლემა კავშირშია ე.ს.გ.-თან, რადგან მოსწავლემ უნდა შეძლოს წაიკითხოს ტექსტი, გაიაზროს და შესაბამისი ინტონაციის გამოყენებით გაახმოვანოს ანიმაცია. ისწავლონ სწორად მეტყველება. ასევე შექმნას რესურსი.

აკადემიური მიზნები:

ქართული მულტფილმებისა და ზღაპრების წაკითხვა და გაცნობა. კითხვის ტექნიკის დაუფლება, შესაბამისი ინტონაციის გამოყენება, რესუსრსის შექმნა და გახმოვანება.

ქართ. III. 1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით; შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით.

- მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებში, სიტუაციურ თამაშებში, წარმართავს დიალოგებს სხვადასხვა ადრესატთან (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ერთსა და იმავე თემაზე და ადეკვატურად შეარჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს.

ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.

- ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.

ქარ. III. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად აღიქვას და/ან თავად შექმნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი, ვიდეო და აუდიომასალა.

- მასწავლებლის დახმარებით შეადგენს საპრეზენტაციო პროგრამას (სლაიდშოუს) ნაცნობი სიუჟეტის გადმოსაცემად;
- ნაცნობი ტექსტისთვის შეარჩევს თანმხლებ მუსიკას, ხმოვან ეფექტებს;

ს.გ.III.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.

- ხატავს ლიტერატურული ნაწარმოების, ფილმის, მულტფილმის გმირებსა და ასევე, საკუთარი წარმოსახვით შექმნილ პერსონაჟებს.

ს.გ.III.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.

- დასმულ ამოცანას გადაჭრის დამოუკიდებლად ან მეწყვილესთან ერთად;

საზოგადოებრივი მიზანი:

მოსწავლეებისთვის ახალი ინტერპრეტაციით , თანამედროვე ეფექტებისა და მუსიკის გამოყენებით გახმოვანებული და ასევე ახლად შექმნილი ქართული ანიმაციების მიწოდება , მათი და სხვა თანატოლი ბავშვების ქართული ანიმაციის მიმართ დაინტერესება .

პროექტის მოკლე აღწერა

მოსწავლეთა ინტერესების გაგების მიზნით ჩატარდა გამოკითხვა თუ რომელ ანიმაციებს, მულტფილმებს და ზღაპრებს კითხულობენ. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები ნაკლებად იცნობენ ქართულ ანიმაციებს, მულტფილმებსა და ზღაპრებს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მათი სიძველით, ნაკლებად ხელმისაწვდომობით ან ძველი გახმოვანებით. ეს უარყოფითად მოქმედებს ბავშვებზე, რადგან ხშირია, როცა ბავშვებს არ აქვთ გამართული მეტყველება, მდიდარი ლექსიკური მარაგი, უფრო მეტად საუბრობენ უცხოური ფრაზებით. ამიტომ სწორედ რომ დროული იყო ასეთი პროექტის გაკეთება, რათა მიგვეწვდინა საზოგადოებისთვის ახალი ინტერპრეტაციით გახმოვანებული ანიმაციები, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომი იქნებოდა მათთვის.

საზოგადოებასთან ინტეგრაცია საუკეთესო აღმოჩნდა პროექტის მიზნის მისაღწევად. იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაეგოთ როგორ იქმნება ანიმაცია და რა ეტაპებს გადის ის დასრულებამდე, მოეწყო მხატვარ-ანიმატორთან შეხვედრა, რომელიც ესაუბრა მათ როგორი იყო ძველად ანიმაცია და როგორია ის ახლა. შეადარეს და თავად გააკეთეს დასკვნა როგორი ცვლილება გაიარა ანიმაციამ წლების შემდეგ. ისაუბრეს თანამედროვე ტექნოლოგიების როლზე და აჩვენა თავისი შექმნილი ანიმაცია ,რომელიც სპეციალურ პროგრამაში შეიქმნა და მისი ნახვა შესაძლებელია მობილურ მოწყობილობაში.

სტუმრად მოვიწვიეთ მსახიობი,რომელიც მოსწავლეებს დაეხმარა სწორად მეტყველებასა და ინტონაციით წაკითხვაში. ეს გამოადგათ მათ ანიმაციების გახმოვანებაში.

რესურსების პრეზენტაცია მოეწყო სასკოლო ბიბლიოთეკაში, სადაც მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს ამ რესურსის მნიშვნელობაზე. იმისთვის, რომ საზოგადოებრივი მიზანი სრულად მიღწეული ყოფილიყო და მათთვის ინტერესი გაგვეღვივებინა ქართული ანიმაციების მიმართ, ის ჩავწერეთ დისკებზე და გადავეცით საჩუქრად როგორც ბიბლიოთეკას ,ასევე დაწყებითი კლასების პედაგოგებს. რესურსი აიტვირთა სოციალურ ქსელში და youtube-ზე, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

ანიმაცია – კინოხელოვნება, რომელიც მიმართავს ნახატებისა თუ თოჯინების გაცოცხლება-ამოძრავებას

ანიმატორი - იგივეა, რაც მულტიპლიკატორი.

ინტერპრეტაცია -თავისი საკუთარი ალღოთი გაკეთება, გადმოცემა (ავტორის ჩანაფიქრისა), შემოქმედებითი გადაწყვეტა, გამოვლინება, თავისებური შესრულება (მუსიკალური ნაწარმოებისა, რაიმე როლისა და სხვ.).

YouTube (წარმოითქმის იუთუბი) - ვიდეო საიტი, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ატვირთონ და გაუზიარონ ერთმანეთს სხვადასხვა ვიდეოები.

CD (კომპაქტ დისკი) — დისკოს ფორმის ინფორმაციის ოპტიკური მატარებელი ცენტრში ხვრელით, რომლიდანაც ინფორმაცია ლაზერის დახმარებით იკითხება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

- კომპიუტერი
- მიკროფონი
- პროექტორი
- პრინტერი და ფურცლები-ტექსტის დასაბეჭდად
- შეფასების ფურცლები
- www.youtube.com - საიტი
- www.google.ge -საძიებო სისტემა ანიმაციების მოსაძიებლად
- კომპაქტური დისკები
- ფერადი ქარალდები -დისკის ჩასადების გასაფორმებლად
- მოსაწვევი ბარათები- პრეზენტასიიცთვის

შენიშვნები

ანიმაციების შექმნა სახვადასხვა საშუალებით შეიძლება.
1. მზა ანიმაციას, რომელიც ადვილად მოსაძებნია სხვადასხვა საიტებზე, სპეციალური პროგრამის საშუალებით(მაგ: Movie Maker) მოეცლება ხმა და მოხდება მისი თავიდან გახმოვანება. პროგრამას იძლევა საშუალებას სხვადასხვა ხმის გადაბმის, ამოჭრის და სიტყვის ჩანაცვლების.
2. სხვადასხვა ზღაპრებისა და ლექსების წიგნიდან შესაძლებელია ილუსტრაციებზე სურათის გადაღება, შემდეგ ამ სურათების ანიმაციის სახით შეკვრა(როგორც Movie Maker , ასევე Power Point-ის საშუალებით) და შემდეგ გაფორმება ხმით და სასურველი ეფექტებით.

გაკვეთილის/თემატური ერთეულის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

I. მოსწავლეთა ინტერესების გაგების მიზნით ჩავატარე გამოკითხვა , თუ რომელ ანიმაციებს, მულტფილმებს და ზღაპრებს კითხულობენ. მოსწავლეებს ვაჩვენე ეკრანზე ქართული და უცხოური ანიმაციებიდან ნაწყვეტი, მათ უნდა დაესახელებინათ , რომელი მულტფილმიდან იყო ეს კადრი. ამით შევძელი მიმეღო ინფორმაცია , თუ რა არის მათი ინტერესის სფერო და რის გამო მოსწონთ ის ?

II. ამის შემდეგ ერთად შევავსეთ ცხრილი დასახელებული ანიმაციების მიხედვით.

დასახელება	**რატომ უყურებთ? (სავარაუდო პასუხი)**
ფიფქია და შვიდი ჯუჯა	ფერადია
ადამიანი ობობა	სასწაულებს აკეთებს
მაუგლი	კარგი მუსიკაა
მაშა და დათვი	სასაცილოა
ვასკვლავური ომები	საინტერესოა
მხიარული მანქანები	ლამაზი ფერებია და მხიარულია

ხელოვნების პედაგოგი ესაუბრა მოსწავლეებს ანიმაციის ისტორიის შესახებ, რომელიც ჯერ კითხვა პასუხის მეთოდით წარიმართა, შემდეგ კი მინი ლექცია მოისმინეს.

კითხვები :

- ✓ **რა იცით ქართული ანიმაციის შესახებ?**
- ✓ **რატომ არ უყურებთ ხშირად ქართულ მულტფილმებს?**
- ✓ **რომელია პირველი ქართული ანიმაცია?**
- ✓ **რომელი ანიმატორი იცით?**

ამის შემდეგ პედაგოგმა გააცნო ანიმაციის ისტორიის შესახებ და აჩვენა პირველი ქართული ანიმაცია“არგონავტები“ https://www.youtube.com/watch?v=DzeZsNz7J84

მოსწავლეებს მივეცით დავალებად მოეძიათ ქართული ანიმაციები და ზღაპრები, რომელიც არ ჰქონდათ ნანახი, მაგრამ გაგონილი ჰქონდათ უფროსებისგან.

მომდევნო გაკვეთილზე ვნახეთ შესრულებული დავალება და მათი სურვილით ავარჩიეთ რამდენიმე ანიმაცია, რომელსაც გამოვიყენებდით შემდეგი აქტივობებისთვის.

მოეწყო მხატვარ-ანიმატორთან შეხვედრა, რომელიც ესაუბრება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება ანიმაციები. რა ეტაპებს გადის ის. შეადარეს ახალი და ძველი ანიმაციები. მან აჩვენა თავისი შექმნილი ანიმაცია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით არის გაკეთებული. ნახეს ვიდეო „ერთი ანიმაციის ისტორია“ -ნაწყვეტი გადაცემიდან.
https://palitranews.ge/video/rogor-ketdeba-erti-animatsiis-istoria

III. შედგა მსახიობთან შეხვედრა,რომელიც მოსწავლეებს დაეხმარა სწორად მეტყველებასა და ინტონაციით წაკითხვაში. ეს გამოადგათ მათ ანიმაციების გახმოვანებაში.

ჩემი დახმარებით დავიწყეთ გახმოვანებისა და შექმნის პროცესი. პროგრამა Movie Maker-ის გამოყენებით სასურველი ანიმაცია გავალამაზეთ ეფექტებით,

მუსიკით და მათ მიერ გახმოვანებული ტექსტით. სასურველ მუსიკას და ეფექტებს მოსწავლეები თავად აირჩევდნენ.

დასრულებული რესურსების პრეზენტაცია მოეწყო სასკოლო ბიბლიოთეკაში, სადაც მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს ამ რესურსის მნიშვნელობაზე. ანიმაციები ჩაიწერა კომპაქტურ დისკებზე და გადაეცა საჩუქრად როგორც ბიბლიოთეკას, ასევე დაწყებით კლასების პედაგოგებს . რესურსი აიტვირთება სოციალურ ქსელში და youtube-ზე, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო სხვა ბავშვებისთვისაც. მოსწავლეებმა შეავსეს თვითშეფასების რუბრიკა.